

ლექსიკური ერთეულის Smart ევოლუცია ინგლისურ ენაში:  
მტკივნეულიდან ჭკვიანამდე

The Evolution of the Lexical Unit "Smart" in the English Language:  
from Painful to Smart

ანი ბუბუტეიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ani Bubuteishvili

Tbilisi State University

Abstract

The evolution of the word "smart" in the English language reflects a fascinating journey from its original meaning of "painful" to its modern connotation of intelligence and sophistication. This article explores how semantic changes occur within language, tracing the transformation of "smart" through metaphorical extension and cultural shifts. Beginning with its roots in Old English referring to physical pain, the word expanded to encompass mental and emotional suffering in Middle English.

Over time, a metaphoric connection was established between physical pain and intellectual sharpness, leading to its association with mental acuity and cleverness. Cultural changes emphasizing intellectual skills further reinforced this transition, leading to its modern usage denoting intelligence and wit. The article also examines the incorporation of "smart" into technology-related terms like "smartphone," illustrating its continued relevance and adaptability in contemporary contexts. Through linguistic analysis, the paper highlights how language evolves in response to social, cultural and technological changes, underlining the dynamic nature of language and its profound impact on human development

საკვანძო სიტყვები: ჭკვიანობა, კონოტაცია, სემანტიკა, ლინგვისტური ფაქტორები, მეტაფორული ხიდი, ნეოლოგიზმი

Keywords: Smart, Connotation, Semantics, Linguistic Factors, Metaphorical Bridge, Neologism

ენა ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც მუდმივად ვითარდება, სიტყვები დროთა განმავლობაში განიცდიან მნიშვნელობის ცვლილებას. სიტყვა smart-ის თავდაპირველი უარყოფითი კონოტაციიდან (მტკივნეული) თანამედროვე გაგებამდე (ჭკვიანი) ტრანსფორმაცია სემანტიკური ცვლილების მომხიბვლელი მაგალითია, შესაბამისად, სტატიის მიზანია ნათლად დაგვანახოს ინგლისურ ენის ერთ-ერთი გამორჩეული თვისება - სემანტიკური ცვალებადობა, ლექსიკური ერთეულის "smart" მაგალითზე.

Smart-ის ფესვებს მტკივნეულის მნიშვნელობით ვპოულობთ ძველ ინგლისურში (Old English), სადაც ის იწერებოდა როგორც „smeart“ და ძირითადად აღნიშნავდა ფიზიკურ ტკივილს ან, ჩხვლევას. სიტყვის მნიშვნელობის ცვლილება გამოიწვია მისი მნიშვნელობის გაფართოვებამ, ამ შემთხვევაში, გონებრივი და ემოციური ტკივილის ცნების დაკავშირებამ სიტყვასთან. მისი მნიშვნელობა გაფართოვდა და ასოცირდებოდა სულიერი ტკივილისა და ტანჯვის შეგრძნებასთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ცვლილებამ smart-ს საშუალება მისცა აღეწერა სხვადასხვა სახის, არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ სულიერი, ემოციური ტკივილიც. ეს იმიტომ მოხდა, რომ ადამიანებმა დაიწყეს ფიზიკური ტკივილის სიმკვეთრის ასოცირება გონების სიმკვეთრესთან, რამაც გამოიწვია სიტყვის მნიშვნელობაში ისეთი გრძნობების ჩართვა, როგორცაა მწუხარება, სინანული ან ძლიერი ტანჯვა.

*"Ic wylle swingan eow mid þam smeartestum swipum"*<sup>1</sup> - ეს წინადადება ძველ ინგლისურ ენაზეა და ითარგმნება ასე: I will strike you with the sharpest blows. - აქ smeartestum შეიძლება განიმარტოს როგორც "ძალიან მკვეთრი" ან "ძალიან მძიმე", რაც მიუთითებს იმაზე, რომ მოსაუბრე აპირებს მიაყენოს ფიზიკური ტკივილი სხვას, ძლიერი დარტყმით, რაც თავისთავად კავშირშია ტკივილთან.

მაშინ, როდესაც ენა განაგრძობდა განვითარებას, მეტაფორული ხიდი გაჩნდა ფიზიკურ ტკივილსა და ინტელექტუალურ სისხარტეს შორის. მარტივად, რომ ვთქვათ, ადამიანებმა დაიწყეს მსგავსება ფიზიკურ ტკივილსა და აზროვნებას შორის. ეს კავშირი, სავარაუდოდ, მოდის იქედან, რომ ორივეს, ტკივილსაც და აზროვნებასაც ახასიათებს სისწრაფე და სიმკვეთრე. ამან ადამიანებს აიძულა ეფიქრათ, რომ მართლაც აზროვნება შეიძლება შევადაროთ ტკივილის გრძნობას. შესაბამისად, ბუნებრივი გახდა გონებრივი სიმახვილის, სწრაფი აზროვნებისა და ჭკუის ცნებების დაკავშირება ტკივილთან დაკავშირებულ მეტაფორულობასთან. დროთა განმავლობაში, smart-ის მეტაფორული გაფართოვება ინტელექტუალური სიმკვეთრის მნიშვნელობით გამყარდა, რამაც გამოიწვია მისი ასოციაციის

<sup>1</sup> [https://www.oed.com/dictionary/smart\\_adj?tl=true](https://www.oed.com/dictionary/smart_adj?tl=true)

გალრმავება ჭკუასთან, გამჭრიახობასთან და ინტელექტთან. სიტყვა გაფართოვდა ტკივილთან კავშირის მიღმა და შეიძინა პოზიტიური კონოტაცია, აღნიშნავდა და აღნიშნავს ისეთ ადამიანს, რომელიც ავლენს გონებრივ სისწრაფესა და გამჭრიახობას, ანუ აღნიშნავს ადამიანს, რომელიც არის ჭკვიანი. მაგალითად: *“So many smart men go to pieces nowadays.”* (ნაზია ლამე, ფიცჯერალდი, 1934, გვ 107), *“I don't know what good it is to know so much and be smart as whips and all if it doesn't make you happy.”* (ფრენი და ზუი, სელენჯერი, 1961, გვ 50)

Smart-ის ევოლუცია არ იყო განპირობებული მხოლოდ ლინგვისტური ფაქტორებით, არამედ მასზე გავლენა მოახდინა კულტურულმა ცვლილებებმაც. საზოგადოებების განვითარებასთან ერთად, გაიზარდა აქცენტი ინტელექტუალურ უნარებსა და შემეცნებით შესაძლებლობებზე. ამ კულტურულმა ცვლილებამ, სავარაუდოდ, გააძლიერა და ხელი შეუწყო სიტყვის გადასვლას ტკივილთან ასოცირებული სიტყვიდან ინტელექტთან და ჭკუასთან ასოცირებულ სიტყვაზე. ეს ცვლილება ხაზს უსვამს ენის დინამიურ ბუნებას, ასახავს იმას, თუ როგორ ადაპტირდება და ვითარდება სიტყვები საზოგადოების ცვალებად საჭიროებებსა და აღქმებზე დაყრდნობით. Smart-ის ევოლუცია გვახსენებს, რომ სიტყვები, ისევე როგორც ცნებები, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ, შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში.

ლინგვისტური კორპუსების ანალიზი კიდევ უფრო ამყარებს მოცემულ აზრს. აღრინდელ ტექსტებში, როგორცაა შუა საუკუნეების ლიტერატურა და პოეზია, „Smart“ ხშირად გადმოსცემს ფიზიკურ ან ემოციურ ტკივილს. ხშირად შექსპირიც კი იყენებდა ამ სიტყვას ფიზიკური ტკივილის გადმოსაცემად, მაგალითად: *„I then, all smarting with my wounds being cold“* (ჰენრი IV, შექსპირი, აქტი I, სცენა III, 50-ე ტაეპი)

ზოგადად, Smart-ს ჭკვიანის მნიშვნელობით, ენაში შეხვდებით ზედსართავის, არსებითი სახელის, ზმნისა და ზმნიზედის სახით, თუმცა მტკივნეულის მნიშვნელობით უმეტესად გამოიყენება ზმნის სახით. როგორც ზმნა, smart ჩვეულებრივ ნიშნავს მკვეთრი ჩხვლეთის ან ტკივილის შეგრძნებას, ხშირად მოულოდნელად ან ინტენსიურად, მაგალითად: *The smoke from the fire made her eyes smart.*<sup>2</sup> (ამ წინადადებაში smart მიუთითებს თვალის ტკივილზე).

Smart არის ერთ-ერთი ყველაზე მულტიფუნქციური სიტყვა ინგლისურში, რომელსაც ხშირად იყენებენ ახალი სიტყვებისა და ცნებების შესაქმნელად, სწორედ იმიტომ, რომ ის აღნიშნავს ინტელექტუალურ შესაძლებლობას.

დროსთან ერთად ყველაფერი უკეთესობისკენ ვითარდება და, შესაბამისად, იხვენება ყველაფერი ძველი, იქმნება ახალი და ყველაფერ ახალს სჭირდება თავისი

<sup>2</sup> <https://dictionary.cambridge.org/dictionary/learner-english/smart>

სახელი. ინგლისურ ენას შეუძლია რამდენიმე სიტყვის გაერთიანებით მიიღოს სრულიად ახალი სიტყვა, ახალი მნიშვნელობა. აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება ტექნოლოგიებზე, რადგან ჩვენ სწორედ იმ ეპოქაში ვცხოვრობთ, სადაც ტექნოლოგიებს უდიდესი ადგილი უჭირავს. მაგალითისთვის, ავიღოთ ჩვენთვის კარგად ნაცნობი ინგლისური სიტყვები, რომლებსაც ყოველდღიურობაში ვიყენებთ: Smartphone, Smartcard, Smartwatch და ა.შ.

რატომ აირჩიეს სიტყვა smart და არა რომელიმე სხვა სიტყვა, როდესაც ამ მოწყობილობებს ქმნიდნენ და სახელს არქმევდნენ? კავშირი სიტყვა smart-სა და ამ სიტყვებს შორის მდგომარეობს ინტელექტის კონცეფციასა და მონინავე შესაძლებლობებში.

Smartphone<sup>3</sup> - სმარტფონი: ტერმინი smart სიტყვაში smartphone მიუთითებს იმაზე, რომ მოწყობილობა სცილდება ტრადიციულ ტელეფონებს თავისი გაფართოებული ფუნქციებითა და შესაძლებლობებით. სმარტფონი შექმნილია ინტელექტუალურად, გვთავაზობს ფუნქციებს, როგორცაა ინტერნეტთან კავშირი, მულტიმედიური შესაძლებლობები, აპლიკაციების მხარდაჭერა და მონინავე ფუნქციები, როგორცაა GPS ნავიგაცია, ხმოვანი ასისტენტი და კამერა. ტერმინი smart ხაზს უსვამს მოწყობილობის უნარს შეასრულოს სხვადასხვა ამოცანა ძირითადი კომუნიკაციის მიღმა.

შესაბამისად, სიტყვა smart ყველაზე კარგად აღწერს იმ მახასიათებლებს, რომლებიც ამ მოწყობილობებს აქვთ, რადგან ისინი მათ ძველ ვერსიაზე უფრო „ჭკვიანები“ და მრავალფუნქციურები არიან, ამდენად, დღესდღეისობით სიტყვა smart ხაზს უსვამს ინტელექტუალურ შესაძლებლობებს.

ყურადღება გავამახვილოთ ერთ მეტად საინტერესო ფაქტზე: ჩვენ რატომღაც არ ვთარგმნით სიტყვას „smartphone“ პირდაპირ ქართულად და არ ვიყენებთ სიტყვას „ჭკვიანი ტელეფონი“, თუმცა აქტიურად ვიყენებთ სიტყვას „სმარტფონი“. რატომ და რა შემთხვევაში ვიყენებთ უცხოურ სიტყვას პირდაპირი თარგმანის გარეშე?

როდესაც ვსაუბრობთ ისეთ სიტყვაზე, როგორცაა smartphone, ჩვენ არ გვაქვს საქმე ბარბარიზმთან, ეს სიტყვა ნეოლოგიზმად<sup>4</sup> შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ნეოლოგიზმია სიტყვა, რომელიც შემოდის ენაში აუცილებლობის გამო. ჩვეულებრივ, ნეოლოგიზმების შემოღება ხდება სპეციალიზებული, ძირითადად, სამეცნიერო და ტექნიკური ენების მეშვეობით. ამას ხელს უწყობს ტექნოლოგია, თავისი მიღწევებითა და აღმოჩენებით. თავის მხრივ, ნეოლოგიზმების მთავარი გამავრცელებელია მედია.

<sup>3</sup> <https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/smartphone>

<sup>4</sup> <http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=43&t=4>

ასევე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ შეიძლება smartphone-ს ნასესხები სიტყვაც კი ვუნდოთ.

თუ კარგად დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ სმარტფონი და მრავალი სხვა სიტყვა იმ დროიდან გამომდინარე, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ტექნოლოგიებით გარშემორტყმულნი და „დამოკიდებულნი“ სმარტფონებზე და მსგავს მონყობილობაზე, იწვევს სიტყვის გავრცელებას, როგორც ქართულში, ისე სხვა ენებში.

როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ენა ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც მუდმივად ვითარდება და ადაპტირდება საზოგადოების, კულტურისა და ტექნოლოგიების ცვლილებებზე. სიტყვებიც თავისთავად, დროთა განმავლობაში განიცდიან მნიშვნელობის ცვლილებას. Smart სწორედ იმ სიტყვათა რიგს მიეკუთვნება, რომელიც მოიცავს მნიშვნელობებისა და კონოტაციების ფართო სპექტრს. ის მოიცავს ინტელექტისა და ცოდნის სხვადასხვა ასპექტს სხვადასხვა სფეროში, მათ შორის აკადემიურ, სოციალურ და ტექნოლოგიურ სფეროებში.

Smart თავდაპირველად აღნიშნავდა ფიზიკურ ტკივილს, შემდეგ სულიერ ტკივილს, თუმცა, წლების განმავლობაში, მისი სემანტიკური ფარგლები გაფართოვდა და ახლა გამოიყენება ინტელექტთან, დახვეწილობასთან და ტექნოლოგიებთან მიმართებაში, არც იქნება გასაკვირი, თუ წლების შემდეგ ამ სიტყვას სხვა, სრულიად განსხვავებული მნიშვნელობით ვიხილავთ. სწორედ ეს არის ის თვისება და თავისებურება, რომელიც ინგლისურ სიტყვებს გამოარჩევს. სიტყვის მსგავსი ევოლუცია ნიშნავს ინგლისური ენის სემანტიკურ მოქნილობას, რაც საშუალებას აძლევს სიტყვას გაფართოვდეს ახალ კონტექსტებსა და ცნებებში.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინგლისური ენის ადაპტირებადი ბუნება საშუალებას აძლევს მას შეუფერხებლად აითვისოს და შექმნას ახალი ტერმინები. Smart-ის მნიშვნელობის ცვლილება აჩვენებს, თუ როგორ ადაპტირდება ინგლისური ენა თავისი მოლაპარაკების საჭიროებებთან და ინტერესებთან, რაც მას დინამიურ და მუდმივად ცვალებად ენობრივ სისტემად აქცევს. ენაში ყველაზე კარგად ჩანს, როგორ ვითარდება სამყარო, საზოგადოება, განვითარების რამდენი ეტაპი გავიარეთ სანამ ტექნოლოგიების ეპოქაში აღმოვჩნდებოდით? ერთ უბრალო ლექსიკურ ერთეულს შეუძლია კარგად აჩვენოს ეს პროცესი.

ერთი უბრალო სიტყვის მიღმა უამრავი მნიშვნელობა იმალება, smart და კიდევ მრავალი სიტყვა კარგი მაგალითია იმისა თუ, რატომ უნდა შევისწავლოთ ენა და სიტყვები უფრო სიღრმისეულად, რათა მეტი გავიგოთ არა მხოლოდ უშუალოდ ენაზე, არამედ ადამიანის განვითარებაზეც, რადგან ენა ასახავს სამყაროს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Gustaf Stern, Meaning and Change of Meaning: With Special Reference to the English Language, (August 24, 2018), Forgotten Books
2. Hans-Jörg Schmid, New Words in the Mind: Concept-formation and Entrenchment of Neologisms (2008), Anglia (Journal of English Philology)
3. Sonila Daiu, Semantic Changes – the Factors and Consequences of the Word Meaning Process, (2015) , European Journal of Language and Literature Studies
4. Peter Glaser, (2020.09.10) Really, everything smart? <https://www.t-systems.com/cn/en/insights/newsroom/news/what-does-smart-mean-history-of-a-buzzword-612026>
5. კემბრიჯის ონლაინ ლექსიკონი: <https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/smart>
6. ონლაინ ეტიმოლოგიური ლექსიკონი: <https://www.etymonline.com/word/smart>
7. ოქსფორდის ონლაინ ლექსიკონი: [https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/smart\\_1](https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/smart_1)
8. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: <http://www.ena.ge/explanatory-online>

### ავტორის შესახებ:

ანი ბუბუტეიშვილი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მეოთხე კურსის სტუდენტი. ინგლისურთან ერთად, მისი ძირითდი ინტერესის სფერო არის კინო და იმედოვნებს, რომ ერთხელაც ამ სფეროში მის სათქმელს აუცილებლად იტყვის.

### About the author:

Ani Bubuteishvili is a fourth-year student of English Philology undergraduate program at Tbilisi State University. Along with English, her primary passion lies in the world of cinema, and she aims to carve out her niche in this realm someday.

Email: [ani.bubuteishvili133@hum.tsu.ge](mailto:ani.bubuteishvili133@hum.tsu.ge)

### სამადლობელი:

მსურს დიდი მადლიერება გამოვხატო ჩემი ხელმძღვანელის, ქალბატონი ირინა დემეტრაძის მიმართ, რომლის მხარდაჭერითა და სწორი რჩევებით, შევძელი



უფრო სიღრმისეულად მივდგომოდი კვლევით საკითხს და დამეხვეწა იგი. მადლობელი ვარ, რომ მსგავს პროფესიონალთან მუშაობის საშუალება მომეცა.

**Acknowledgments:**

I would like to express my great gratitude to my supervisor, Mrs. Irina Demetradze, with whose support and correct advice, I was able to approach the research issue more deeply and refine it. I am grateful to have had the opportunity to work with such a professional.